საქართველოს პარლამენტის
სტრატეგია მდგრადი განვითარების მიზნების
განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის

ივნისი 2019

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

შესავალი 3

საქართველოს პარლამენტის როლი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში 5

საქართველოს პარლამენტის სტრატეგია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის 6

ამოცანა 1. საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას. 7

ამოცანა 2. საბიუჯეტო პროცესი ასახავს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საჭიროებებს. 9

ამოცანა 3. საქართველოს პარლამენტი ეფექტიან ზედამხედველობას უწევს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას საქართველოს მთავრობის მიერ. 10

ამოცანა 4. მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისას საპარლამენტო საქმიანობა ღია და ხელმისაწვდომია საქართველოს მოქალაქეებისათვის. 11

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება 12

საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისთვის 14

აბრევიატურები და შემოკლებები

გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
BDD	ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი
GIA	გენდერული გავლენის შეფასება
IPU	საპარლამენტთაშორისო კავშირი
RIA	რეგულირების გავლენის შეფასება
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა

წინასიტყვაობა

„საქართველოს პარლამენტის სტრატეგია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისთვის“ მიზნად ისახავს საქართველოს პარლამენტის ეფექტიანი ზედამხედველობითი და კანონშემოქმედებითი მექანიზმების გამოყენებით, ხელი შეეწყოს ქვეყანაში მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესს. იგი გაწერილია 2030 წლამდე, ხოლო თანდართული სამოქმედო გეგმა მოიცავს 2019-2020 წლებს.[1]

სტრატეგია ეფუძნება პრინციპს „კეთილდღეობა ყველასთვის“ და ასახავს პარლამენტის ხედვას საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. ის ეყრდნობა პარლამენტის თვითშეფასების შედეგებს, რომელიც 2018 წლის ივნისში ჩატარდა და რომელმაც გამოავლინა პარლამენტის შესაძლებლობები და საჭიროებები მდგრადი განვითრების მიზნების შესრულების კუთხით.

დოკუმენტი მომზადებულია ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ხელმძღვანელობით და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით.

შესავალი

2015 წლის 25 სექტემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო) მიიღო რეზოლუცია „ჩვენი მსოფლიოს ცვლილება: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ და დაამტკიცა მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs), რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობდნენ გაეროს წევრ ქვეყანათა მთავრობების, საკანონმდებლო ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მდგრადი განვითარების დღის წესრიგი მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ და გადაჯაჭვულ 17 ამოცანასა და 169 მიზანს, რომლებიც ხუთ ძირითად მიმართულებად („5P“) ჯგუფდება:

- ადამიანები (People) - სიღარიბისა და შიმშილის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ადამიანებისათვის ღირსებისა და თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანსაღ გარემოში;
- დედამიწა (Planet) - დედამიწის განადგურების თავიდან აცილება, მათ შორის ისეთი საშუალებებით, როგორიცაა ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, კლიმატის ცვლილების პრევენცია და სხვა;
- კეთილდღეობა (Prosperity) - თითოეული ადამიანისათვის წარმატებული ცხოვრების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- მშვიდობა (Peace) - მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოების შექმნა, რომელიც თავისუფალი იქნება შიშისა და ძალადობისგან;
- პარტნიორობა (Partnership) - გლობალური პარტნიორობა მიზნების (SDGs) მისაღწევად.

[1] მომდევნო წლების გეგმებს შემდეგი მოწვევის პარლამენტები შეიმუშავებენ წინამდებარე სტრატეგიის მიმართულებათა გათვალისწინებით.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროგრესის გასაზომად, 2015 წელს შემუშავდა და დამტკიცდა 244 გლობალური ინდიკატორი. ხელმომწერმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, მოეხდინათ მიზნების ნაციონალიზაცია და პრიორიტეტებად გაწერა.

საქართველოში მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი 2015 წელს დაიწყო. ქვეყნის გამოწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, განისაზღვრა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული პრიორიტეტები. თითოეული სექტორული ამოცანის შესრულება გაიწერა დროში, ასევე, განისაზღვრა საქართველოზე მორგებული საბაზისო (2015 წლის მონაცემები) და სამიზნე ინდიკატორები (2030 წლისათვის). 2016 წელს, საქართველომ ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიში გაეროს მაღალი დონის ყოველწლიურ პოლიტიკურ ფორუმზე წარადგინა, რითაც გაამყარა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის ვალდებულება.

თუმცა, ქვეყნის განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე, 2018 წელს მიზანშეწონილი გახდა ამოცანების გადახედვა და სამიზნეების/ინდიკატორების დამატება, რათა უკეთ განსაზღვრულიყო მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გზები. შედეგად, მდგრადი განვითარების მიზნების განახლებული ეროვნული დოკუმენტი მოიცავს 17 მიზანს, 95 ამოცანასა და 215 ინდიკატორს.

2017 წელს შეიქმნა საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის თავმჯდომარეობით. მისი ფუნქციაა მიზნების ნაციონალიზაციის კოორდინირება და შესრულებაზე მონიტორინგი. საბჭოს შემადგენლობაში შედიან ცენტრალური საჯარო დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამსახურის ბიურო და სტატისტიკის ეროვნული სამსახური) წარმომადგენლები. საბჭოს სამდივნოს როლს ასრულებს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახური. საბჭოს ეგიდით შექმნილია 4 თემატური სამუშაო ჯგუფი: (1) სოციალური ჩართულობა; (2) ეკონომიკური ზრდა; (3) დემოკრატიული მმართველობა; (4) მდგრადი ენერგეტიკა და გარემოს დაცვა. თემატურ სამუშაო ჯგუფებში ერთიანდებიან სამთავრობო დაწესებულებების, ასევე, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მიზნების შესრულების კოორდინირებისა და მონიტორინგის მიზნით, დაინერგა მართვის ელექტრონული სისტემაც, რომელიც მოიცავს საქართველოზე მორგებულ ყველა მიზანს, ამოცანასა და ინდიკატორს. იგი ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის უახლოეს პერიოდში.

მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესში გათვალისწინებულ იქნა ქვეყნის პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020“ და „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი“.

მდგრადი განვითარების მიზნები საქართველოს მთავრობის შიდა რეფორმების განუყოფელი ნაწილია. მათი თანხვედრის დასადგენად განისაზღვრა ურთიერთკავშირი შიდა პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნებს შორის. მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები ინტეგრირებულია საქართველოს მთავრობის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაშიც.

საქართველოს პარლამენტის როლი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში

მდგრადი განვითარების მიზნების ყოვლისმომცველი ბუნების გათვალისწინებით, მათი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ყველა ჩართული მხარის მონაწილეობით და ეფექტიანი თანამშრომლობით როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. ქვეყნის შიგნით საჭიროა ხელისუფლების ყველა შტოს, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების კოორდინირებული ქმედება.

პარლამენტების, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი, საკანონმდებლო და მთავრობის მაკონტროლებელი ორგანოების, მონაწილეობა ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს აღნიშნულია 2030 წლის დღის წესრიგში; ამას აღიარებს საპარლამენტთაშორისო კავშირიც (IPU) თავის სახელმძღვანელოში „პარლამენტის როლი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში“[2], რომელიც UNDP-ისთან თანამშრომლობით მომზადდა. დოკუმენტში ხაზგასმულია პარლამენტარების, როგორც ხალხის წარმომადგენელთა განსაკუთრებულია როლი, ხალხზე ორიენტირებული და მათი საჭიროებების შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებაში. პარლამენტარები მნიშვნელოვანი აქტორები არიან ანგარიშვალდებული, ინკლუზიური, და გამჭვირვალე მმართველობის უზრუნველყოფაში, რაც მდგრადი განვითარების წინაპირობაა.

საკანონმდებლო ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ და ზედამხედველობა გაუწიონ მდგრადი განვითარების 17-ვე მიზნის განხორციელებას, თუმცა მათ უშუალო პასუხისმგებლობა მე-16.6 და მე-16.7 ამოცანების შესრულებაზე ეკისრებათ , რაც გულისხმობს „მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობას მდგრადი განვითარებისათვის; მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ყველასთვის; ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობას ყველა დონეზე.“

პარლამენტებს არაერთი მექანიზმი აქვთ, რათა აქტიურად ჩაერთონ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში, მათ შორის კანონმდებლობის მიღებისა და საპარლამენტო ზედამხედველობის მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, პარლამენტების უფლებამოსილება საბიუჯეტო პროცესში, ვინაიდან სათანადო ფინანსური რესურსის გარეშე შეუძლებელია მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა.

საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს შეტანილი ცვლილებებისა და პარლამენტის გაზრდილი როლის გათვალისწინებით, მისი აქტიური ჩართულობა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასა და მონიტორინგში მნიშვნელოვანია; ხოლო 2018 წლის 6 დეკემბერს მიღებული საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტი საშუალებას იძლევა, კანონმდებლებმა ამ პროცესში ახალი და ქმედითი მექანიზმები გამოიყენონ.

საქართველოს პარლამენტმა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში: ჯერ კიდევ 2016 წელს მხარი დაუჭირა „ღია მმართველობის თანამშრომლობის დეკლარაციას 2030 წლის დღის წესრიგის

[2] https://bit.ly/2SRn2xd

განხორციელების შესახებ“[3]; 2018 წელს კი მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისა და მონიტორინგის ვალდებულება აიღო, რომელიც ღია პარლამენტის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით განისაზღვრა.[4]

საქართველოს პარლამენტის ორგანიზებითა და UNDP-ის, IPU-სა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, 2018 წლის ივნისში, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, სადაც UNDP-IPU-ის ერთობლივი მეთოდოლოგიის საფუძველზე, შეფასდა პარლამენტის შესაძლებლობები და გამოწვევები მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებასთან დაკავშირებით; განისაზღვრა ძირითადი მიზნები და პრიორიტეტული მიმართულებებიც.

აღსანიშნავია, რომ 2017-2018 წლებში, პარლამენტის რამდენიმე კომიტეტის მიერ მომზადებულ სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულია მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებიც; კერძოდ, ერთმანეთს დაუკავშირდა კომიტეტების გეგმებით განსაზღვრული კონკრეტული აქტივობები და მდგრადი განვითარების შესაბამისი მიზნები და ამოცანები. ამით ხაზი გაესვა მჭიდრო კავშირს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებასა და პარლამენტის საქმიანობას შორის.

წინამდებარე სტრატეგია ეხმიანება პარლამენტის მზარდ როლს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესრულებაში. იგი, საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გათვალისწინებით, განსაზღვრავს კონკრეტულ მიზანსა და ამოცანებს 2030 წლისათვის, რომელთა შესრულება პარლამენტის მიერ ხელს შეუწყობს ქვეყანაში მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიღწევას.

საქართველოს პარლამენტის სტრატეგია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის

წარმოდგენილი სტრატეგიის მიზანია, საქართველოს პარლამენტის ეფექტიანი ზედამხედველობითი და კანონშემოქმედებითი მექანიზმების გამოყენებით, ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებასა და მონიტორინგს.

სტრატეგიით განსაზღვრული მიზნისა და ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის ყველა კომიტეტისა და აპარატის მონაწილეობით, ასევე სხვადასხვა მხარის ჩართულობითა და მათთან თანამშრომლობით. ესენია: აღმასრულებელი ხელისუფლება, დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტები (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სახალხო დამცველის აპარატი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური), სამოქალაქო საზოგადოება, აკადემიური წრეები და კერძო სექტორი.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფართო საზოგადოების ინფორმირებას მდგრადი განვითარების დღის წესრიგისა და მისი

---

[3] http://www.parliament.ge/en/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/ppcotg/axali-ambebi/saqartvelos-parlamenti-ogp-is-deklaracias-gia-mmartveloba-mdgradi-ganvitarebis-dgis-wesrigis-ganxorcielebistvis-sheuertda.page

[4] http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/99509/Action_Plan_GEO_Print

შესრულების პროგრესის შესახებ, მათ შორის ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ისეთი პრინციპების დაცვა, როგორიცაა გამჭვირვალობა, ღიაობა და მოქალაქეთა ჩართულობა.

სტრატეგიის მიზანი არ არის დამატებითი მექანიზმების შექმნა, არამედ პარლამენტის რეგლამენტითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, უკვე არსებული მექანიზმების გამოყენება, ასევე, მდგრადი განვითარების მიზნების ასახვა პარლამენტის ყოველდღიურ საქმიანობაში.

სტრატეგიით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად საქართველოს პარლამენტმა ოთხი სტრატეგიული მიმართულება - კანონშემოქმედება, საბიუჯეტო პროცესი, ზედამხედველობა და მოქალაქეთა ჩართულობა - დაადგინა და ოთხი ამოცანა გაწერა. ესენია:

ამოცანა 1: საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას.

ამოცანა 2: საბიუჯეტო პროცესი ასახავს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საჭიროებებს.

ამოცანა 3: საქართველოს პარლამენტი ეფექტიან ზედამხედველობას უწევს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას საქართველოს მთავრობის მიერ.

ამოცანა 4: მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაზე საპარლამენტო ზედამხედველობის პროცესი ღია და ხელმისაწვდომია საქართველოს მოქალაქეებისათვის.

წინამდებარე სტრატეგიას თან ახლავს მისი განხორციელების ორ-წლიანი სამოქმედო გეგმა (2019-2020), ხოლო შემდგომი გეგმები საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ მომდევნო წლებში გაიწერება.

ამოცანა 1. საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას.

მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად საჭიროა ერთიანი ხედვისა და მიდგომის არსებობა, რომელიც უნდა აისახოს ქვეყნის პოლიტიკის დოკუმენტებსა და კანონმდებლობაში. ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას და განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, მან მთავრობასთან ერთად უნდა გაანალიზოს მდგრადი განვითარების ეროვნული გეგმები და განსაზღვროს ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებისა და კანონმდებლობის შესაბამისობა 2030 წლის დღის წესრიგთან, ასევე, აუცილებელი ცვლილებებისა თუ ახალი დოკუმენტების/კანონმდებლობის შემუშავება/მიღება.

ამასთან, ყველა ახალი პოლიტიკის დოკუმენტი და კანონმდებლობა უნდა შემუშავდეს მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება საჭიროებს სისტემურ მიდგომას. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს 2030 წლის დღის წესრიგით განსაზღვრული მიზნებისა და

ამოცანების გათვალისწინებას ქვეყნის პოლიტიკის ძირითად დოკუმენტებში. აუცილებელია, გაანალიზდეს საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტები, რათა ისინი იყოს თანმიმდევრული და შეესაბამებოდეს 2030 წლისთვის ნაკისრ ვალდებულებებს.

დარგობრივმა კომიტეტებმა, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, და თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა გააანალიზონ დარგობრივი პოლიტიკის დოკუმენტები და წარმოადგინონ რეკომენდაციები ცვლილებებზე, რომლებიც აუცილებელია ამ დოკუმენტების მდგრადი განვითარების მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ამასთან, საქართველოს პარლამენტი უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს საქმიანობაში, ასევე, ანგარიშების მომზადებაში 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელებაზე.

მდგრადი განვითარების მიზნების უმეტესობა მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებების გატარებას. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა ხელს შეუწყობს მიზნების მისაღწევად აუცილებელი გარემოს შექმნას, ასევე, კონკრეტული ღონისძიებების გატარებას. აქედან გამომდინარე, პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს 2030 წლის დღის წესრიგს.

სასურველია, საქართველოს პარლამენტმა შეაფასოს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად აუცილებელი საკანონმდებლო ჩარჩო, ნაციონალიზებული მიზნების/ამოცანების გათვალისწინებით. შეფასების მიზანი უნდა იყოს: (i) იმ ამოცანების განსაზღვრა, რომლებიც საჭიროებს ახალი კანონების მიღებას ან ცვლილებებს კანონმდებლობაში; და (ii) საშუალო და გრძელვადიანი საკანონმდებლო რეფორმების დღის წესრიგის შექმნა განსახილველი საკითხების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. შეფასების შედეგად მიღებული საკანონმდებლო გეგმა უნდა აისახოს კომიტეტების საქმიანობის გეგმებში. ეს საქმიანობა საქართველოს პარლამენტმა უნდა განახორციელოს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ამასთან, პარლამენტის ძალისხმევით, კანონშემოქმედებითი საქმიანობა უნდა მიემართებოდეს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას. ეს შეეხება როგორც პარლამენტის მიერ შემუშავებულ კანონპროექტებს, ასევე პარლამენტში წარდგენილ საკანონმდებლო ინიციატივებს. ამ მიზნით, კანონპროექტის განმარტებითი ბარათი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას - მდგრადი განვითარების მიზნების რომელი ამოცანის შესრულებასა და რომელი ინდიკატორ(ებ)ის გაუმჯობესებას ემსახურება ესა თუ ის კანონპროექტი.

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გასაანალიზებლად, მიზანშეწონილია, პარლამენტმა გამოიყენოს კანონპროექტების რეგულირების გავლენის შეფასება (RIA) და გენდერული გავლენის შეფასება (GIA).

წინამდებარე სტრატეგიის განხორციელებისათვის, მნიშვნელოვანია შიდა საპარლამენტო კოორდინაცია. ამ მიზნით, მიზანშეწონილია, განისაზღვროს მდგრადი განვითარების 17-ვე მიზნის ამოცანათა შესრულებაზე პასუხისმგებელი კომიტეტები. თითოეული მათგანის სამოქმედო გეგმაში ნათლად უნდა იყოს მითითებული კომიტეტის მიერ დაგეგმილი საქმიანობის კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან.

ამასთანავე, რეკომენდებულია, ყველა კომიტეტში დაინიშნოს თემატური მომხსენებელი, რომელიც ხელს შეუწყობს კომიტეტის გამგებლობაში მოქცეული მიზნების შესრულებას; ხოლო თემატური მომხსენებლებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი პასუხისმგებელი იქნება

კომიტეტების საქმიანობის კოორდინაციაზე ამ მიმართულებით, ასევე, ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხების განხილვაზე. ასეთი სამუშაო ჯგუფის არსებობა პარლამენტში გააუმჯობესებს მდგრადი განვითარების დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხთა კოორდინაციას.

წინამდებარე სტრატეგიის ამოქმედებისათვის, საჭიროა პარლამენტის შესაძლებლობათა გაძლიერება. ეს გულისხმობს პარლამენტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას მდგრადი განვითარების მიზნებზე; ასევე, პარლამენტის შიდა კვლევითი რესურსების გაძლიერებას, რაც ხელს შეუწყობს სიღრმისეული ანალიზის ჩატარებას მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. ამისათვის, საჭიროა პარლამენტის საორიენტაციო-სასწავლო პროგრამის განახლებადა შესაბამისი მასალების მომზადება.

ამოცანა 2. საბიუჯეტო პროცესი ასახავს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საჭიროებებს.

მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტიანი განხორციელებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სათანადო ფინანსური რესურსების გამოყოფა და მათი მიმართვა ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისაკენ. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტი ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტია ამ მიზნების შესასრულებლად.

თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია გამოყოფილი ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტიანობაზე ზედამხედველობა, რათა მიღწეული შედეგები ხელშესახები და მდგრადი იყოს. ეს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მე-17 მიზანი მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო ფინანსური რესურსების ეფექტიან ხარჯვას.

ამ ამოცანის შესრულებისათვის, საჭიროა იმ პოლიტიკის დოკუმენტებისა და საკანონმდებლო ინიციატივების განფასება და ბიუჯეტში ასახვა, რომლებიც მოიაზრება მდგრადი განვითარების მიზნების განსახორციელებლად.

საქართველოს პარლამენტმა, ბიუჯეტის შექმნისა და შესრულების ყველა ეტაპზე, უნდა გააკონტროლოს, რამდენად არის ასახული მასში მდგრადი განვითარების მიზნები. ეს პროცესი უნდა დაიწყოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის შემუშავებისას და გაგრძელდეს წლიური ბიუჯეტების დაგეგმარების დროს. ვინაიდან ბიუჯეტის შესრულება ფასდება BDD/ბიუჯეტში მითითებული ინდიკატორების გათვალისწინებით, აუცილებელია ბიუჯეტის პროგრამების ინდიკატორები შეესაბამებოდეს მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორებს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტსა და დარგობრივ კომიტეტებს შორის უნდა გაძლიერდეს კოორდინაცია მთელი საბიუჯეტო ციკლის განმავლობაში. დარგობრივმა კომიტეტებმა, თავიანთ გამგებლობას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან ერთად უნდა გააკონტროლონ ბიუჯეტის შესრულება პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშები, მათ შორის ეფექტიანობის აუდიტის შესახებ, აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული ბიუჯეტის პროექტის განხილვისას. ამ ამოცანის შესრულებისას საქართველოს პარლამენტმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან.

ღია და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესისათვის, რაც გათვალისწინებულია მდგრადი განვითარების მიზნების 16.6 ამოცანით, საქართველოს პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა ჩართულობა როგორც ბიუჯეტის შემუშავებაში, ასევე მის შესრულებაზე კონტროლში.

ამოცანა 3. საქართველოს პარლამენტი ეფექტიან ზედამხედველობას უწევს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას საქართველოს მთავრობის მიერ.

2030 წლის დღის წესრიგის დეკლარაციით აღიარებულია პარლამენტის განსაკუთრებული როლი მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაზე ზედამხედველობის კუთხით. საქართველოს პარლამენტმა უნდა შეაფასოს: რამდენად ეფექტიანად ხორციელდება მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული პოლიტიკა, კანონები და პროგრამები; ასევე, გატარებული ღონისძიებები ნამდვილად მიემართება თუ არა ადამიანების, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფების კეთილდღეობას.

სრულად საპარლამენტო სისტემაზე გადასვლასთან ერთად, ასევე, პარლამენტის ახალი რეგლამენტით განსაზღვრული მექანიზმების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილი და ვალდებულია, მუდმივი ზედამხედველობა გაუწიოს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას.

ისეთი საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები, როგორიცაა წლიური და კვარტალური ანგარიშების მოსმენა, მინისტრის საათი, თემატური მოკვლევები, კონტროლი ნორმატიული აქტების შესრულებაზე და სხვა, იძლევა საშუალებას, რომ პარლამენტმა რეგულარულად, გამჭვირვალედ და ეფექტიანად გაუწიოს ზედამხედველობა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას მთავრობის მიერ.

მიზანშეწონილია, რომ საქართველოს პარლამენტმა დაავალოს საპარლამენტო კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანოებს, მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშები მოიცავდეს ინფორმაციას მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ, შესაბამისი ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში.

საქართველოს პარლამენტმა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოისმინოს ანგარიში მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული ინდიკატორების შესრულებაზე. ამ კუთხით განსაკუთრებული როლი აკისრიათ კომიტეტებს, რომლებმაც სისტემატურად უნდა მოისმინონ შესაბამის სფეროზე პასუხისმგებელ უწყებათა ანგარიშები მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაზე. ანგარიშების მოსმენის შემდეგ, უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს რეკომენდაციები გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ზედამხედველობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და მიუკერძოებელი ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზს. ამისთვის აუცილებელია თანამშრომლობის გაუმჯობესება როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფო ინსტიტუტებთან, ასევე სამოქალაქო საზოგადოებასთან, აკადემიურ წრეებსა და კერძო სექტორთან. მათი ჩართულობა უზრუნველყოფს პროცესის ღიაობასა და გამჭვირვალობას.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროგრესის გასაზომად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობა და მათი გავლენა ადამიანთა კეთილდღეობაზე. სწორედ ამიტომ აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან. ეს ხელს შეუწყობს სანდო და

ზუსტი ინფორმაციის რეგულარულად შეგროვებასა და მიწოდებას პარლამენტისათვის, რათა გაიზომოს პროგრესი მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მხრივ.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასებისას, ასევე, „კეთილდღეობა ყველასთვის“ მიზნის განხორციელებაზე ინფორმაციის მიღებისა და ანალიზის დროს, მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის სიღრმისეულად გასაანალიზებლად კი, მიზანშეწონილია, საქართველოს პარლამენტმა უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს აკადემიურ წრეებთან.

ინფორმაცია უნდა შეგროვდეს იმ ჯგუფებისგანაც, რომლებზეც გავლენას ახდენს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება. განსაკუთრებით მნიშნელოვანია მოწყვლად ჯგუფებთან თანამშრომლობა და მათგან ინფორმაციის მიღება მიღწეულ პროგრესსა და არსებულ ხარვეზებზე.
ამ მიზნით პარლამენტმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს:

- სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან სანდო და ზუსტი ინფორმაციის რეგულარულად მისაღებად მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების გასაზომად;
- სახალხო დამცველის ოფისთან ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასებისას, ასევე, „კეთილდღეობა ყველასთვის“ მიზნის განხორციელებაზე ინფორმაციის მიღებისა და ანალიზის დროს;
- აკადემიურ წრეებთან სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის სიღრმისეულად გასაანალიზებლად;
- კერძო სექტორთან

ამოცანა 4. მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისას საპარლამენტო საქმიანობა ღია და ხელმისაწვდომია საქართველოს მოქალაქეებისათვის.

მდგრადი განვითარების მიზნების მე-16.6 და მე-16.7 ამოცანები წარმოშობს პარალმენტის ვალდებულებას, ერთი მხრივ, ქვეყანაში უზრუნველყოს ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე (16.6) და ხელი შეუწყოს სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური და მონაწილეობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას (16.7); მეორე მხრივ, თვითონ პარლამენტი საქმიანობდეს ამ პრინციპების დაცვით. იგივეს მოუწოდებს პარლამენტს „ღია მმართველობა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებისათვის“ დეკლარაცია, რომელსაც პარლამენტი 2015 წელს შეუერთდა.

შესაბამისად, წინამდებარე სტრატეგიით გათვალისწინებული და მისგან გამომდინარე ღონისძიებების გატარებისას, საქართველოს პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს ღია და გამჭვირვალე პროცესები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, „კეთილდღეობა ყველასთვის“ პრინციპის დაცვით.

მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისათვის მთავრობისა და პარლამენტის ძალისხმევა აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა. სამოქალაქო საზოგადოება და კერძო სექტორიც აქტიურად უნდა ჩაებას პროცესში. ამ თვალსაზრისით, პარლამენტს შემაკავშირებელი როლი ეკისრება, რათა საზოგადოების წარმომადგენლებმა შეძლონ მონაწილეობა დისკუსიებსა და გადაწყვეტილებათა მიღებაში. თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უფრო აქტიური ჩართულობა (მაგ: საკომიტეტო

მოსმენებში) ხელს შეუწყობს მათი ექსპერტიზისა და ინფორმაციის უფრო სრულად გამოყენებას; რაც შეეხება კერძო სექტორს, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა სრულად თანხვედრაშია სოციალური პასუხისმგებლობის სულისკვეთებასთან, რომელიც ბოლო დროს ფეხს იკიდებს საქართველოში.

პრინციპის - „კეთილდღეობა ყველასთვის“ - შესაბამისად, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებით შექმნილი საზოგადოებრივი სიკეთე საზოგადოების ყველა წევრმა უნდა მიიღოს; ეს განსაკუთრებით ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს. უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც ეს ჯგუფები შეძლებენ თანასწორად მიიღონ მონაწილეობა საპარლამენტო პროცესებში. პარლამენტმა ასევე უნდა გაითვალისწინოს გენდერულად მგრძნობიარე ასპექტებიც.

სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს პარლამენტის ვებგვერდზე. ამასთან, სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფთან თანამშრომლობისა და მათი ინფორმირების დროს მიზანშეწონილია ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენებაც.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და პარტნიორობის მნიშვნელობა აღიარებულია 2030 წლის დღის წესრიგით. კერძოდ, მე-17 მიზანი მოუწოდებს ქვეყნებს, ითანამშრომლონ უკეთესი შედეგების მისაღწევად მდგრადი განვითარების ფარგლებში. ამ ამოცანის შესრულებისათვის, საქართველოს პარლამენტს შეუძლია, შეისწავლოს საერთაშორისო გამოცდილება და გაითვალისწინოს ის თავის აქტივობებში. ამ მიზნით,

საქართველოს პარლამენტმა უნდა ითანამშრომლოს სხვა ქვეყნების პარლამენტებთან, რათა, ერთი მხრივ, გაეცნოს მათ საუკეთესო პრაქტიკას, და, მეორე მხრივ, გაუზიაროს თავისი გამოცდილება უცხოელ კოლეგებს.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

წინამდებარე სტრატეგიის განხორციელებასა და მის კოორდინაციაზე პასუხისმგებელია ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.

სტრატეგიის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის გაწერა. პირველი ასეთი გეგმა მომზადდა 2019-2020 წლებისათვის, ამჟამინდელი პარლამენტის მოწვევის ვადის დასრულებამდე. ყოველი სამოქმედო გეგმის შემუშავებას უნდა უძღოდეს წინა გეგმის შესრულების შეფასება და სიტუაციური ანალიზი.

სამოქმედო გეგმით განისაზღვრება ღონისძიებათა განხორციელების ვადა, პასუხისმგებელი პირი, ბიუჯეტი და ამოცანების შესრულების ინდიკატორები. ინდიკატორი უნდა იყოს როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი. ამასთან, სამოქმედო გეგმით უნდა შეფასდეს (პროცენტული მაჩვენებლით), რამდენად აახლოებს ესა თუ ის ქმედება სტრატეგიული მიზნის მიღწევას.

პარლამენტის კომიტეტებმა ყოველწლიური ანგარიშის გაცნობისას (ყოველი წლის თებერვალი) უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად გატარებულ ღონისძიებებზეც. ხოლო, ღია მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მარტისა, უნდა მოამზადოს ანგარიში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე, რომელიც შეაფასებს სტრატეგიის

განხორციელების პროგრესსაც. საბჭომ ანგარიში უნდა განიხილოს ღია სხდომაზე, სადაც მონაწილეობის უფლება ყველა დაინტერესებულ მხარეს ექნება.

საქართველოს პარლამენტმა უნდა წაახალისოს სამოქალაქო საზოგადოება ჩრდილოვანი ანგარიშების წარსადგენად სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ. ეს ანგარიშები უნდა განხილულ იყოს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ანგარიშთან ერთად.

საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისა და მონიტორინგისთვის

ამოცანა 1: საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას

ამოცანის ინდიკატორი								
1) 2030 წლისთვის საქართველოს პოლიტიკის დოკუმენტები სრულ შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან და ხელს უწყობს მათ განხორციელებას საქართველოში • *2020 წლისთვის განსაზღვრულია ყველა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი და საჭიროებს ცვლილებებს მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით* • *2020 წლისთვის პარლამენტს დამტკიცებული აქვს სათანადო ცვლილებები სულ მცირე 2 პოლიტიკის დოკუმენტში* *2) 2030 წლისთვის საქართველოს საკანონმდებლო აქტები სრულ შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან და ხელს უწყობს მათ განხორციელებას საქართველოში* *3) 2020 წლისთვის საქართველოს პარლამენტში შექმნილია საკოორდინაციო მექანიზმები მდგრადი განვითარების მიზნებზე ორიენტირებული კანონმდებლობის შესაქმნელად* *4) 2030 წლისთვის საქართველოს პარლამენტის წევრებს და თანამშრომლებს აქვთ სათანადო ცოდნა,, ხელი შეუწყონ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას* • *2020 წლისთვის თემატურ მომხსენებლებს და აპარატის შესაბამის თანამშრომლებს აქვთ სათანადო ცოდნა, განახორციელონ დაკისრებული ვალდებულებები*								
ქმედება	**ქმედების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურა**	**სხვა მონაწილე მხარეები/პარტნიორები**	**დასრულების საბოლოო ვადა**	**ბიუჯეტი**		**მონაცემთა წყარო**	**სტატუსი**
					საჭირო დამატებითი ბიუჯეტი	**დამატებითი დაფინანსების წყაროები**		
1.1. კომიტეტის განმგებლობას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით თითოეული კომიტეტისთვის შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნ(ებ)ის განსაზღვრა და დამტკიცება	მომზადებულია და შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებულია რეკომენდაციები კომიტეტების სამოქმედო გეგმებში ასახულია შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნები/ამოცანები	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, კომიტეტები		I კვარტალი, 2020 წ.			რეკომენდაციები მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებით კომიტეტების პასუხისმგებლობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავს კომიტეტების პასუხისმგებლობის სფეროს მიკუთვნებულ მდგრადი	

							განვითარების მიზნებს კომიტეტების სამოქმედო გეგმები	
1.2. მდგრადი განვითარების მიზნების საკითხზე პასუხისმგებელი პარლამენტის წევრის და აპარატის თანამშრომლის განსაზღვრა თითოეულ კომიტეტში	განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები ყველა კომიტეტში; პასუხისმგებელი თანამშრომლების სამუშაო აღწერილობაში ასახულია მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული საქმიანობა	კომიტეტები		III კვარტალი, 2019 წ.			თანამშრომლების სამუშაო აღწერილობები; კომიტეტის სხდომის ოქმი, სადაც განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები	
1.3. ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან მდგრადი განვითარების მიზნებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) შექმნა, რომელშიც მონაწილეობენ მდგრადი განვითარების მიზნებზე პასუხისმგებელი პარლამენტის წევრები და აპარატის შესაბამისი პასუხისმგებელი თანამშრომლები; ასევე სხვა პარლამენტის წევრები და/ან თანამშრომლები საჭიროებისამებრ	სამუშაო ჯგუფი შექმნილია (განსაზღვრულია მისი მანდატი და სამუშაო აღწერილობა) და იკრიბება სულ მცირე სამჯერ წელიწადში; ჯგუფი რეკომენდაციებს/მოსაზრებებს/ანგარიშებს წარუდგენს საბჭოს და კომიტეტებს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო		III კვარტალი, 2019 წ (სამუშაო ჯგუფის შექმნა) IV კვარტალი, 2020 წ (სრულად)			სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება; სამუშაო ჯგუფის მანდატის განმსაზღვრელი დოკუმენტი; სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები; სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციები/მოსაზრებები/ანგარიშები	
1.4. პარლამენტის მიერ იმ პირების (პარლამენტარები და პარლამენტის აპარატის წევრები) განსაზღვრა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი	განსაზღვრულია პირები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საჯარო	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო	საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი	III კვარტალი, 2019 წ.			ამ პირების მიერ მომზადებული ანგარიშები; ღია მმართველობის	

განვითარების მიზნების საბჭოს სხდომებში	მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს სხდომებში	საბჭო	განვითარების მიზნების საბჭოს სამდივნო				მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომების ოქმები	
1.5. საქართველოს პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის რეკომენდაციის გაცემა, რათა სამინისტროების, ასევე სექტორული პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები ასახავდეს მდგრადი განვითარების მიზნების განახლებული ეროვნული დოკუმენტით გათვალისწინებული ინდიკატორების მისაღწევად საჭირო ღონისძიებებს	რეკომენდაცია დამტკიცებულია	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო; პარლამენტი	საქართველოს მთავრობა; სამოქალაქო საზოგადოება	IV კვარტალი, 2019 წ.			პარლამენტის მიერ მომზადებული რეკომენდაციები	
1.6. საქართველოს პარლამენტის (ან სამუშაო ჯგუფის) მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კონსულტაციების საფუძველზე პოლიტიკის დოკუმენტების მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობის მიზნით პოლიტიკის დოკუმენტების გადახედვის აუცილებლობის და ვადის შესახებ რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება	რეკომენდაციები მომზადებულია და ხელმისაწვდომია პარლამენტის ვებგვერდზე; საბჭომ მოიწონა რეკომენდაციები		საქართველოს მთავრობა; სამოქალაქო საზოგადოება	IV კვარტალი, 2019 წ.			დამტკიცებული რეკომენდაციები	
1.7. 1.6 პუნქტით განსაზღვრული იმ პოლიტიკის დოკუმენტებში ცვლილებების პროექტების შემუშავება და დამტკიცება შესაბამისი კომიტეტების მიერ სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერით და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი	ცვლილებები მომზადებულია და დამტკიცებულია პოლიტიკის დოკუმენტებში, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას საქართველოში	კომიტეტები	საქართველოს მთავრობა; სამოქალაქო საზოგადოება	IV კვარტალი, 2020 წ.			შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები და/ან ცვლილებები პოლიტიკის დოკუმენტებში არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველის, საერთაშორისო ორგანიზაციების და/ან დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასება პოლიტიკის დოკუმენტების მდგრადი განვითარების	

							მიზნებთან შესაბამისობის თაობაზე	
1.8. მდგრადი განვითარების მიზნების განახლებული ეროვნული დოკუმენტის განსახორციელებლად აუცილებელი საკანონმდებლო საქმიანობის (ცვლილებების და/ან ახალი საკანონმდებლო აქტები) და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა საქართველოს პარლამენტის მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით	მომზადებულია დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების ჩამონათვალი	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, სამუშაო ჯგუფი	საქართველოს მთავრობა; სამოქალაქო საზოგადოება; საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს სამდივნო	IV კვარტალი, 2019 წ.			გრძელვადიანი საკანონმდებლო გეგმა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით	
1.9. 1.8 პუნქტით განსაზღვრული საკანონმდებლო აქტების ასახვა ასევე შესაბამისი კომიტეტების სამოქმედო გეგმებში	კომიტეტების სამოქმედო გეგმები ასახავენ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელთა მიღება აუცილებელია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისთვის	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, კომიტეტები	საქართველოს მთავრობა; სამოქალაქო საზოგადოება; საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს სამდივნო	I კვარტალი, 2020 წ.			კომიტეტების წლიური სამოქმედო გეგმები	
1.10. კომიტეტების სამოქმედო გეგმებსა და წლიურ ანგარიშებში მოცემულია იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას	კომიტეტების სამოქმედო გეგმებსა და წლიურ ანგარიშებში ასახულია კომიტეტის საქმიანობის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან	კომიტეტები (კომიტეტის მიერ დანიშნული თემატური მომხსენებელი და აპარატის თანამშრომელი)	სამოქალაქო საზოგადოება; აკადემიური წრეები	მუდმივად 01.01.2020 წ-დან			კომიტეტის სამოქმედო გეგმები	

1.11. საქართველოს პარლამენტის მიერ კანონპროექტის მომზადებისას/განხილვისას მისი მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობის შეფასების პილოტირება ყველა კომიტეტის მიერ	სულ მცირე 6 კანონპროექტის (აქედან 2019 წლის განმავლობაში 2 მაინც) შესახებ მომზადებულ კომიტეტის დასკვნებში ასახულია კანონპროექტის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან	თემატური მომხსენებლები, კომიტეტები, პარლამენტი	საქართველოს მთავრობა; სამოქალაქო საზოგადოება; საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს სამდივნო	IV კვარტალი, 2020 წ.			პარლამენტის კომიტეტების სხდომის ოქმები კანონპროექტებზე; კომიტეტის დასკვნები; კანონპროექტის განმარტებითი ბარათები	
1.12. საქართველოს პარლამენტის წევრებისა და თანამშრომელთა საორიენტაციო ტრენინგის პროგრამაში მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ მოდულის დამატება	მოდული მომზადებულია და ხელმისაწვდომია	პარლამენტის სასწავლო ცენტრი; ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	აკადემიური წრეები	III კვარტალი, 2019			ვებგვერდზე გამოქვეყნებული ტრენინგ მოდულები	
1.13. სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ტრენინგების ჩატარება	ჩატარდა 3 ტრენინგი, რომელიც მორგებულია სამუშაო ჯგუფის წევრების საჭიროებებზე	პარლამენტის სასწავლო ცენტრი; ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	აკადემიური წრეები	IV კვარტალი, 2019			ტრენინგში მონაწილე პირთა დასწრების ფურცლები; მონაწილეთა უკუკავშირის ფურცლები; ტრენინგის დღის წესრიგი	

ამოცანა 2: საბიუჯეტო პროცესი ასახავს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საჭიროებებს

ამოცანის ინდიკატორი

1) 2030 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დანართი სრულ შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან

- *2020 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დანართი ნაწილობრივად (წინასწარ იდენტიფიცირებული მაქსიმუმ სამი მიმართულების მატერიალური საბიუჯეტო პროგრამებისათვის) შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან*

2) 2030 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში იძლევა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის სრულყოფილი მონიტორინგის შესაძლებლობას

- *2021 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში იძლევა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ნაწილობრივი მონიტორინგის შესაძლებლობას*

ქმედება	ქმედების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურა	სხვა მონაწილე მხარეები/პარტნიორები	დასრულების საბოლოო ვადა	ბიუჯეტი		მონაცემთა წყარო	სტატუსი
					საჭირო დამატებითი ბიუჯეტი	დამატებითი დაფინანსების წყაროები		
2.1. ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე პროგრამული ბიუჯეტის დანართში საბიუჯეტო პროგრამებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაციისათვის პირველადი პრიორიტეტული პროგრამების იდენტიფიცირება	პირველადი პრიორიტეტული პროგრამები იდენტიფიცირებულია	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს მთავრობა	ივლისი, 2019				
2.2. პარლამენტის მიერ რეკომენდაციის მიღება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში საპილოტე საბიუჯეტო პროგრამებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაციისათვის	პარლამენტის რეკომენდაცია მიღებულია	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს მთავრობა	ივნისი, 2019				
2.3. პარლამენტის მიერ რეკომენდაციის მიღება პროგრამული ბიუჯეტის დანართში საპილოტე საბიუჯეტო პროგრამებისა და მდგრადი განვითარების მიზნების (ინდიკატორებისა და მიზნობრივი მაჩვენებლების) ინტეგრაციისათვის	პარლამენტის რეკომენდაცია მიღებულია	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს მთავრობა	2020 წელი (ნაწილობრივ)				
2.4. ბიუჯეტის პროექტისა და წლიური შესრულების შესახებ მოხსენების განხილვისას პროგრამული ბიუჯეტის დანართის ფარგლებში საპილოტე პროგრამების და მდგრადი განვითარების მიზნების ურთიერთშესაბამისობის განხილვა	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნაში ასახულია აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისობა მდგრადი განვითარების	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს მთავრობა, შესაბამისი დარგობრივი სამინისტროები	პროექტის განხილვა ოქტომბერი, 2019. ანგარიშის განხილვა ივნისი, 2021				

	მიზნებთან							
2.5. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და დარგობრივი კომიტეტების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული საქართველოს მთავრობის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისათვის მზადყოფნის აუდიტის ფარგლებში გამოვლენილ ხარვეზებზე რეკომენდაციის გაცემა და მისი შესრულების მონიტორინგი	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის რეკომენდაცია გაცემულია და შესრულებულია	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, დარგობრივი კომიტეტები	სახელმწიფო აუდიტის სამსახური; ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს მთავრობა	2020 წელი (ნაწილობრივ)				

ამოცანა 3: საქართველოს პარლამენტი ეფექტიან ზედამხედველობას უწევს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას საქართველოს მთავრობის მიერ

ამოცანის ინდიკატორი								
1) 2020/2030 წლისთვის: პარლამენტი ეფექტიანად ზედამხედველობს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მიმართულებით *2) 2020/2030 წლისთვის,საქართველოს პარლამენტი თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესზე ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად*								
ქმედება	**ქმედების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურა**	**სხვა მონაწილე მხარეები/პარტნიორები**	**დასრულების საბოლოო ვადა**	**ბიუჯეტი**		**მონაცემთა წყარო**	**სტატუსი**
					საჭირო დამატებითი ბიუჯეტი	**დამატებითი დაფინანსების წყაროები**		
3.1. პარლამენტის კომიტეტების მიერ მათ წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების განხილვა მდგრადი განვითარების მიზნების განახლებული ეროვნული დოკუმენტის ჭრილში	კომიტეტების დასკვნები ასახავს და რეკომენდაციებს წარმოდგენილ ანგარიშებთან დაკავშირებით	კომიტეტები	სამინისტროები; სამოქალაქო საზოგადოება	მუდმივად რეგლამენტით განსაზღვრული ვადების შესაბამისად	არა	არა	ანგარიშვალდებული ორგანოს ანგარიში; კომიტეტის სხდომის ოქმი; არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს სახალხო დამცველის, საერთაშორისო ორგანიზაციები ანგარიშები	
3.2. კომიტეტების მიერ თემატური მოკვლევისას მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინება მოკვლევის ამოცანების განსაზღვრისას და შეფასებისას	თემატური მოკვლევის ანგარიშებში ასახულია საკითხის შესაბამისობა მდგრადი	კომიტეტები	სამოქალაქო საზოგადოება აკადემიური წრეები	მუდმივად 01.01.2020 წ-დან				

	განვითარების მიზნებთან							
3.3. საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭოს/სამდივნოს ყოველწლიური ანგარიშის განხილვა ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ და შემდგომში პლენარულ სხდომაზე	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შემუშავებული აქვს რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტისთვის და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელების გაუმჯობესების ხელშესაწყობად; საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები დამტკიცებულია პლენარულ სხდომაზე საბჭომ მოისმინა რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	სამოქალაქო საზოგადოება	ყოველწლიურად 01.01.2020 წ-დან			საბჭოს სხდომის ოქმები	
3.4. კომიტეტების მიერ ნორმატიულ აქტების აღსრულებაზე კონტროლის განხორციელებისას შემუშავებულ საბოლოო ანგარიშში ნორმატიული აქტის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისობის დადგენა	ნორმატიული აქტების აღსრულებაზე მომზადებულ დოკუმენტში ასახულია მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობა	კომიტეტები	სამოქალაქო საზოგადოება; აკადემიური წრეები	მუდმივად 01.01.2020 წ-დან			კომიტეტების მიერ ნორმატიულ აქტების აღსრულებაზე კონტროლის განხორციელებისას შემუშავებული საბოლოო	

							ანგარიშები	
3.5. კომიტეტების სამოქმედო გეგმებსა და წლიურ ანგარიშებში იმ ღონისძიებათა გაწერა, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას	კომიტეტების სამოქმედო გეგმებსა და წლიურ ანგარიშებში ასახულია კომიტეტის საქმიანობის შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან	კომიტეტები (კომიტეტის მიერ დანიშნული თემატური მომხსენებელი და აპარატის თანამშრომელი)	სამოქალაქო საზოგადოება აკადემიური წრეები	ყოველწლიურად 01.01.2020 წ-დან			კომიტეტების სამოქმედო გეგმები	
3.6. მდგრადი განვითარების მიზნების განახლებული ეროვნული დოკუმენტის შესრულების მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მოსმენამდე, კომიტეტების მიერ სახალხო დამცველისგან, საქართველოს სტატისტიკის სამსახურიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან და სხვა სახელმწიფო და/ან კერძო ორგანიზაციებისგან ინფორმაციის გამოთხოვა მდგრადი განვითარების შესრულების მდგომარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში საჯარო მოსმენების გამართვა	პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უწყებებიდან, სხვა მხარეებისგან პერიოდული ანგარიშების მოსმენა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის შესახებ 2020-ში 1 მოსმენა მაინც	კომიტეტები	სახალხო დამცველი, სამოქალაქო საზოგადოება აკადემიური წრეები	IX კვარტალი, 2020 წ.				

ამოცანა 4: მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების პროცესში საპარლამენტო საქმიანობა ღია და ხელმისაწვდომია საქართველოს მოქალაქეებისათვის

ამოცანის ინდიკატორი								
1) 2030 წლისთვის დაინტერესებულ მხარეები და მოქალაქეები ინფორმირებული არიან და მონაწილეობენ პარლამენტის მიერ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში • *2020 წლისთვის შექმნილია შესაბამისი მექანიზმები მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად*								
ქმედება	**ქმედების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი სტრუქტურა**	**სხვა მონაწილე მხარეები/პარტნიორები**	**დასრულების საბოლოო ვადა**	**ბიუჯეტი**		**მონაცემთა წყარო**	**სტატუსი**
					საჭირო დამატებითი ბიუჯეტი	**დამატებითი დაფინანსების წყაროები**		
4.1. მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ	სტენდები და	პარლამენტის	აკადემიური	III კვარტალი,				

სტენდები/ფლაიერების განთავსება პარლამენტის მოქალაქეთა მისაღებში და მაჟორიტარების ბიუროებში	ფლაიერები განთავსებულია მოქალაქეთა მისაღებში და მაჟორიტარების ბიუროებში	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი	წრეები	2019				
4.2. 17-დღიანი კამპანიის ჩატარება პარლამენტის ვებ-გვერდზე/სოციალურ მედიაში: თითო დღე თითო მიზნის შესახებ	კამპანია ჩატარებულია (წელიწადში ერთხელ)	პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	სამოქალაქო საზოგადოება; აკადემიური წრეები	IV კვარტალი, 2020				
4.3. ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საჯარო შეხვედრების ფარგლებში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში პარლამენტის როლის შესახებ ინფორმაციის გაზიარება	ღია მმართველობის საბჭოს შეხვედრებზე დრო ეთმობა მდგრადი განვითარების მიზნებზე და მათი განხორციელების პროგრესზე საუბარს, ასევე პარლამენტის როლს პროცესში	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	სამოქალაქო საზოგადოება	მუდმივად			საბჭოს მიერ მომზადებული ანგარიშები საბჭოს სხდომის ოქმები	
4.4. საქართველოს პარლამენტის მიერ საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენციის ჩატარება მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისას მიღებული გამოცდილების გასაზიარებლად	კონფერენცია ჩატარებულია; კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო სულ ცოტა 5 ქვეყნის საპარლამენტო დელეგაციამ	პარლამენტის თავმჯდომარე; ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	აკადემიური წრეები; სამოქალაქო საზოგადოება; საქართველოს მთავრობა	IV კვარტალი, 2020 წ.				
4.5. მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ საქართველოს პარლამენტის როლისა და მიღწევების შესახებ ინგლისურენოვანი მასალების/პრეზენტაციის მომზადება და მიწოდება პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციებისა და მეგობრობის ჯგუფებისთვის	მასალები/პრეზენტაცია მომზადებულია; ისინი გამოიყენება მუდმივმოქმედი დელეგაციების/მეგობრობის ჯგუფების მიერ	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი	აკადემიური წრეები	I კვარტალი, 2020 წ.				

	მათ საქმიანობაში							

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

ქმედება	ქმედების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურა	სხვა მონაწილე მხარეები/პარტნიორები	დასრულების საბოლოო ვადა	ბიუჯეტი	მონაცემთა წყარო	სტატუსი
5.1. ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მარტისა ანგარიშის მომზადება წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულებაზე	ანგარიში მომზადებულია და ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო; საპარლამენტო კომიტეტები		1 მარტი ყოველწლიურად			
5.2. ანგარიშის განხილვა ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ღია სხდომაზე	ღია სხდომა ჩატარებულია; სხდომის ოქმი ხელმისაწვდომია პარლამენტის ვებგვერდზე	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო; საპარლამენტო კომიტეტები	სამოქალაქო საზოგადოება	30 ივნისამდე, ყოველწლიურად			